



: ରାଜ୍ୟପତ୍ରିକାରେ ଉଦ୍‌ଘାଟନାରେ ମହାନ୍ ପାତ୍ର ହୁଏ ଯାଇଥାରେ ମହାନ୍ ପାତ୍ର ହୁଏ ଯାଇଥାରେ

30 / ୦୩୬୦୬୦ / ୨୦୨୧୬.



პერიოდზე საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი და იჯარის ხელშეკრულების ვადა იწურება 2023 წლის 1 იანვრამდე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილ გადაუხდელ პერიოდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საიჯარო ქირა შეეცვალოს და განესაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით;

დ) მოიჯარე, რომელსაც შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო, დაეკისრა/დაეკისრებოდა პირგასამტებლო, 2021 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე გათავისუფლდეს დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტებლოსგან;

ე) გადაზდილი საიჯარო ქირა და პირგასამტებლო არ ექვემდებარება დაბრუნებას;

ვ) ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები ვრცელდება ამ განკარგულების გამოცემის მომენტისათვის მოქმედ შესაბამის ხელშეკრულებებზე;

ზ) მოიჯარეს, რომელსაც გადაუხდელი აქვს 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი და იჯარის ხელშეკრულება შეუწყდა/ვადა ამოწურა ამ განკარგულების გამოცემის მომენტამდე, 2021 წლის 1 თებერვლიდან შესაბამისი ხელშეკრულების შეწყვეტამდე/ვადის ამოწურვამდე გადაუხდელ პერიოდზე საიჯარო ქირა შეეცვალოს და განესაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით და გათავისუფლდეს შესაბამისი პირგასამტებლოსგან;

თ) ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები აისახოს იმ ქვემოიჯარებაზე, რომელთაც უძრავი ქონება სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვთ ამ განკარგულებით გათვალისწინებული მოიჯარისაგან, პროპორციულობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით, შესაბამის მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ძალადაგარგულად იქნას ცნობილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 2 ივნისის N21-709.829 განკარგულება მისი გამოცემის დღიდან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინოს საკითხი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“ 2021 წლის 15 ივნისის N216 განკარგულების ძალადაგარგულად გამოცხადების თაობაზე.

3.ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები გავრცელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული), პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“ 2021 წლის 15 ივნისის N216 განკარგულების ძალადაგარგულად გამოცხადების თაობაზე.

4.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქონების მართვის სააგენტომ უზრუნველყოს ამ განკარგულების პირველი შესაბამისად საიჯარო ქირის გადაანგარიშება და მოიჯარეთათვის ამ განკარგულების გაცნობა მისი გამოქვეყნების, გადაცემის, ფოსტის ან/და

ელექტრონული საშუალებებით გაგზავნის გზით.

5.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

6.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



გამა გალაძე